



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი

23 თებერვალი 2015 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №17

#### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების სხდომების ჩატარების გრაფიკის განსაზღვრის შესახებ

„ საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №1 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 28-ე მუხლის შესაბამისად:

### ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების სხდომების ჩატარების გრაფიკი, (თანახმად დანართისა).
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ( დიმიტრი კვერელიძეს)
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ. №14.)
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი  
კომისიების სხდომების ჩატარების გრაფიკი**

№	კომისიის დასახელება	სხდომის ჩატარების ადგილი	სხდომის ჩატარების დღე
1	სამანდატო,საპროცედურო,იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია	ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ.№1	ყოველი თვის I კვირის სამშაბათი და III კვირის სამშაბათი.
2	საფინანსო საბიუჯეტო კომისია	ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ.№1	ყოველი თვის II კვირის ოთხშაბათი და ბოლო ოთხშაბათი.
3	სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ.№1	ყოველი თვის III კვირის სამშაბათი და IV კვირის სამშაბათი.
4	აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.	ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ.№1	ყოველი თვის I კვირის ორშაბათი და IV კვირის სამშაბათი.
5	განათლების, კულტურის,სპორტისა და სოციალურ საკითხთა კომისია.	ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ.№1	ყოველი თვის I კვირის პარასკევი IV კვირის პარასკევი.

**შენიშვნა:**

- თუ კომისიის სხდომის ჩატარების დღე ემთხვევა „საქართველოს შრომის კოდექსი“-ით გათვალისწინებულ უქმე დღეს, მაშინ კომისიის სხდომა იმართება მომდევნო სამუშაო დღეს.
- კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ამავე დანართში მითითებული სხდომის ჩატარების ადგილისა და დღის შეცვლა.
- კომისიების გადაწყვეტილებით შესაძლებელია ერთობლივი სხდომების ჩატარება, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკრებულოს თავმჯდომარეს.

